სემინარი 5 — „ჩვენ არ ვართ სიაში“

ევროკავშირის სამართალი · კვირა 5 · ქეისი: Les Verts (1986)

გიორგი კობერიძე · ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სემინარი 5 — „ჩვენ არ ვართ სიაში“

> **ფორმატი:** Case Method · 50 წთ · ორი გუნდი (Les Verts / ევროპარლამენტი) → პლენარული დისკუსია → „სასამართლო“ **მოსამზადებლად:** დარიგება (კვირა 5), ნაწილი I.4 და VI · ცხრილები 4, 10 · ქეისის ფაქტები ქვემოთ

რატომ ეს ქეისი

1957 წლის ხელშეკრულება სასამართლოს აძლევდა უფლებას, შეემოწმებინა „**საბჭოსა და კომისიის** აქტები“ (EEC 173). ევროპარლამენტი სიაში **არ** იყო. 1982 წელს ევროპარლამენტმა საკუთარი ბიუჯეტიდან 43 მილიონი ECU გაანაწილა — ისე, რომ მეტი მიიღეს იმ პარტიებმა, რომლებიც **უკვე** პარლამენტში ისხდნენ. ახალმა პარტიამ, რომელიც პარლამენტში ჯერ არ იყო, იჩივლა.

ეს **ინსტიტუციური წონასწორობისა** და **სამართლის უზენაესობის** ქეისია: შეუძლია სასამართლოს ხელშეკრულების „შევსება“, თუ ტექსტი დუმს?

ნაწილი A — ფაქტები

Parti écologiste „Les Verts“ v European Parliament, Case 294/83, 23 April 1986

1. ევროკავშირის ბიუჯეტში 1982–1984 წლებისთვის შეიტანეს მუხლი **3708**: „contribution to the cost of preparations for the information campaign leading up to the **second direct elections in 1984**“; პირობებს ევროპარლამენტის **ბიურო** ადგენს. სულ — **43 მილიონი ECU**. *(პარ. 2, PDF გვ. 2)*
2. **1982-10-12** — ბიურომ (პრეზიდენტი + 12 ვიცე-პრეზიდენტი), პოლიტიკური ჯგუფების თავმჯდომარეების წინადადებით, განაწილების წესი მიიღო. გადაწყვეტილება **არ** გამოქვეყნებულა. *(პარ. 3–4, PDF გვ. 3)*
3. **განაწილება:** ყოველწლიურად — **69%** იმ პოლიტიკურ ჯგუფებსა და არამიკუთვნებულ დეპუტატებს, რომლებიც **1979** წელს აირჩიეს (თითო ჯგუფს 1% + თითო დეპუტატზე 1/434 ნაწილი); **31%** — სარეზერვო ფონდი **ყველა** პარტიისთვის, რომელიც 1984 წლის არჩევნებში ერთ სახელმწიფოში 5%-ზე მეტს ან სამ სახელმწიფოში 1%-ზე მეტს მიიღებს. *(პარ. 4, 33, PDF გვ. 3, 12)*
4. **1983-10-29** — „გაფართოებულმა ბიურომ“ სარეზერვო ფონდის წესი მიიღო (OJ C 293). *(პარ. 10–11, PDF გვ. 4–5)*
5. **1983-12-28** — ფრანგულმა ასოციაციამ **„Les Verts — Parti écologiste“** (1979 წელს პარლამენტში არ იყო) EEC **173**-ით ორივე აქტის ბათილობა მოითხოვა. შვიდი არგუმენტიდან მთავარი: ევროპარლამენტს ასეთი სქემის **კომპეტენცია არ აქვს**; ეს **საარჩევნო ხარჯების ანაზღაურებაა**, რაც სახელმწიფოების საქმეა; პარტიებს **არათანაბარ** პირობებში აყენებს. *(პარ. 1, 12, PDF გვ. 2, 5–6)*
6. საქმის განხილვისას Les Verts სხვა ასოციაციას შეუერთდა, 1984 წლის არჩევნებში მონაწილეობდა, **680 080** ხმა მიიღო და სარეზერვო ფონდიდან **82 958 ECU** აიღო. *(პარ. 13, PDF გვ. 6)*

სამი კითხვა, რომელიც სასამართლოს წინაშე იდგა:

1. შეიძლება თუ არა **ევროპარლამენტის** აქტის გასაჩივრება EEC 173-ით, თუ მუხლი მხოლოდ საბჭოსა და კომისიას ასახელებს?
2. ეხება თუ არა ეს აქტები **მესამე პირებს** და Les Verts-ს — „**უშუალოდ და ინდივიდუალურად**“?
3. ჰქონდა თუ არა ევროპარლამენტს ასეთი სქემის შექმნის **კომპეტენცია**?

ნაწილი B — ორი გუნდი

	🌿 Les Verts	🏛️ ევროპარლამენტი
სასამართლოს კომპეტენცია	EEC 164 — სასამართლო უზრუნველყოფს, რომ „the law is observed“. თუ ევროპარლამენტის აქტი ვერ გასაჩივრდება — ეს **მართლმსაჯულებაზე უარია** *(პარ. 21)*	⚠️ **არ** დავობს! ბიუჯეტსა და არჩევნებში, სადაც სავალდებულო აქტებს იღებს, კონტროლს თავად აღიარებს — **ოღონდ**: მაშინ თავადაც უნდა შეეძლოს საბჭოსა და კომისიის აქტების გასაჩივრება *(პარ. 22)*
აუდიტორთა სასამართლო	—	ხარჯს ისედაც ამოწმებს აუდიტორთა სასამართლო (EEC 206a) → სასამართლოს კონტროლი ზედმეტია *(პარ. 28)*
უშუალო და ინდივიდუალური	იურიდიული პირია; ფული **კონკურენტ** პარტიებს ეძლევა *(პარ. 29)*	არსებული პრაქტიკით — დაუშვებელია; მაგრამ პარტია „ჩვეულებრივი“ მესამე პირი არ არის — სადღაც პრივილეგირებულ მოსარჩელესა და კერძო პირს შორისაა *(პარ. 30)*
კომპეტენცია	საარჩევნო ხარჯების ანაზღაურება — **ეროვნული** კანონმდებლის საქმე (1976 წლის აქტი, მუხ. 7(2)) *(პარ. 40)*	ეს **საინფორმაციო** კამპანიაა — პარლამენტის შიდა ორგანიზაციის უფლება (*Luxembourg v Parliament*, 230/81) *(პარ. 42)*
თანასწორობა	1979 წლის პარტიები **ორჯერ** იღებენ — 69%-დან და 31%-დან *(პარ. 41)*	დიდი ჯგუფები უფრო **წარმომადგენლობითია** და მეტ ინფორმაციას ავრცელებს — პოლიტიკური დისკრეცია *(პარ. 43)*

ნაწილი C — მოსამზადებელი კითხვები (ყველა სტუდენტისთვის)

1. რატომ არ ახსენებდა EEC 173 ევროპარლამენტს 1957 წელს? (მინიშნება: რა უფლებამოსილება ჰქონდა ასამბლეას თავდაპირველად?)
2. ევროპარლამენტი დაშვებადობას **არ** დავობდა. რატომ შეამოწმა სასამართლომ ეს საკითხი **თავისი ინიციატივით**? *(პარ. 19)*
3. აუდიტორთა სასამართლო ბიუჯეტის ხარჯს ამოწმებს. რატომ არ გამორიცხავს ეს ევროკავშირის სასამართლოს კონტროლს? (ცხრილი 6)
4. ევროპარლამენტი ამბობს: „თუ ჩემი აქტები გასაჩივრდება, მეც უნდა შემეძლოს სარჩელი“. ლოგიკურია? დღეს TFEU 263-ის რომელ აბზაცში ჩანს პასუხი?
5. დღევანდელი TFEU 263 (პირველი აბზ.) ვის აქტებს ასახელებს? რა დაემატა 1957 წლის ტექსტს?